თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამეანო საქმის ბაკალავრი
პროგრამის სტატუსი. შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. გადაწყვეტილება №194; 05.11.2019წ.
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ზაზა ბოხუა
პროგრამის მოცულობა	**240 ECTS** კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	**კომპეტენტური სამეანო საქმის ბაკალავრის მომზადება, რომელიც შეძლებს:** • ორსულის, მშობიარის და მელოგინის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობას; • სამეანო სქმიანობისთვის საჭირო კლინიკური უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებას, სამშობიარო ბლოკში კრიტიკული მდგომარეობების დროულ იდენტიფიკაციას და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას კომპეტენციის ფარგლებში; • საკუთარი ცოდნის და პროფესიული უნარ-ჩვევების ობიექტურ შეაფასებას და ყველა შესაძლებლობის გამოყენებას მათი განვითარებისთვის.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	სამეანო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამეანო საბაკალავრო პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბიმასად.
პროგრამის მოკლე აღწერა	2009 წლიდან პროექტის „ბებიაქალთა ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში" ფარგლებში თსსუ-ში როტერდამის (ნიდერლანდები) ბებიაქალთა უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების კურიკულუმი. აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ბებიაქალთა

	საერთაშორისო კონფედერაციის (ICM), გინეკოლოგთა და მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (FIGO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და გაიდლაინები. პროგრამა შეჯერებულია საქართველოს სამედიცინო განათლებისა სისტემასა და თსსუ-ის მისიასთან. კურიკულუმი მთელი სწავლების მანძილზე ეფუძნება პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას და სრულ ჰარმონიაშია ბოლონიის პროცესთან. ყოველივე ზემოთხსენებული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას. პროგრამა აგებულია ECTS - ის მიხედვით და მოიცავს 240 კრედიტს. ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.
სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა	სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, მათი ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში. სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას, რაც წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (სტუდენტთა ყოველკვირეული/ ყოველდღიური მიმდინარე აკადემიური, პრაქტიკული აქტივობები, პრეზენტაცია/ები, კოლოკვიუმ(ებ)ი და სხვ.) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 0-60 ქულით. ბ)დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/ მოდულის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან დასკვნითი

	გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 0-40 ქულა. შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება. **დადებითი შეფასებებია:** (A) ფრიადი – 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა, (C) კარგი – 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა,; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **უარყოფითი შეფასებებია:** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ხელახლა აქვს შესასწავლი. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** იცის/აცნობიერებს • ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა, სამეანო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები; • პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლის პრინციპები; • უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა, მართვისა და ლიდერობის უნარები. **უნარი:** შეუძლია • მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით; • ანტენატალური კვლევის წარმოება, პრობლემის დროული აღმოჩენა და მართვა, ფიზიოლოგიური მშობიარობის წარმართვა და ახალშობილის მდგომარეობის შეფასება; • პოსტნატალურ პერიოდში დედისა და ახალშობილისთვის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური გარემოს უზრუნველყოფა, ქალის ასისტირება ძუძუთი კვების პროცესში, ხოლო პრობლემის შემთხვევაში – სწორი რეკომენდაციების მიწოდება და შესაბამისი მოვლის უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა

	ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების წარმოება. • მშობიარის/ახალშობილის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროული იდენტიფიკაცია და მართვა კომპეტენციის ფარგლებში; • ოჯახის დაგეგმარების მიზნით უსაფრთხო სექსისა და კონტრაცეფციის თაობაზე, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის მიწოდება; საგნამანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება ქალებთან, ოჯახებთან და მოზარდებთან; • შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა და დაცვა. ეფექტური კომუნიკაცია ცვლად პროფესიულ გარემოში; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** შეუძლია: • დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით; • მაღალი პასუხისმგებლობით ცვლად პროფესიულ გარემოში საკუთარი საქმიანობის წარმართვა, სამეანო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედება.
კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები	**სამეანო საქმის ბაკალავრის დასაქმების სფერო** მოიცავს სამშობიარო სახლებს, ქალთა კონსულტაციებს, სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს. ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს. შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს აღნიშნული კომპეტენციის პირების დასაქმების მაღალ ხარისხს.

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო დისციპლინა	სემესტრი	კრედიტი
1	საორიენტაციო კურსი	I	3
2	სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	I	4
3	სამედიცინო ქიმია	I	5
4	სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით	I	3
5	ჰისტოლოგიის საფუძვლები	I	6
6	პროფესიული ლათინური ენა	I	2
7	აკადემიური წერა	I	2
8	ანატომია 1	I	5
1	სამედიცინო ბიოქიმია	II	3
2	ანატომია 2	II	5
3	ფიზიოლოგია 1	II	5
4	მიკრობიოლოგია	II	2
5	იმუნოლოგია	II	2
6	კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაზისო კურსი	II	3
7	ბიოეთიკა	II	2
8	უცხოური ენა 1	II	4
9	ავადმყოფის ბაზისური მოვლის უნარ-ჩვევები	II	2
10	კლინიკური უნარ-ჩვევები 1	II	2
1	პათოლოგიური ანატომია	III	2
2	პათოლოგიური ფიზიოლოგია	III	2
3	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	III	3
4	ფსიქოლოგიის საფუძვლები	III	2
5	სოციოლოგიის საფუძვლები	III	2
6	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	III	2
7	ჰიგიენის საფუძვლები	III	3
8	ფიზიოლოგია 2	III	4
9	უცხოური ენა 2	III	3
10	სამეცნიერო კვლევა	III	2
11	შესავალი კურსი მეანობაში	III	2
12	მედიცინის ისტორია (არჩევითი)	III	3
13	ფსიქოჰიგიენა (არჩევითი)	III	3
1	შინაგანი მედიცინა	IV	5
2	ზოგადი ქირურგია	IV	5
3	ნევროლოგიის ზოგადი კურსი	IV	3
4	დერმატოლოგია	IV	2
5	ინფექციური დაავადებების ზოგადი კურსი	IV	3

6	პედიატრიის ზოგადი კურსი	IV	4
7	გადაუდებელი მედიცინის პრინციპები	IV	3
8	მეანობა 1	IV	2
9	ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა (არჩევითი)	IV	3
10	გარემოს ჰიგიენა (არჩევითი)	IV	3
1	რეპროდუქტოლოგია	V	3
2	ეპიდემიოლოგია	V	2
3	სოციოლოგია	V	2
4	ფსიქოსექსოლოგია	V	2
5	ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი 1	V	2
6	სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების კონტროლი	V	2
7	აივ ინფექციის კონტროლი	V	4
8	კლინიკური ფარმაკოლოგია 1	V	4
9	მეანობა 2	V	3
10	პრაქტიკული უნარ-ჩვევები 1	V	3
11	წერტილოვანი მასაჟი (არჩევითი)	V	3
12	სამკურნალო მასაჟი (არჩევითი)	V	3
1	მეანობა 3	VI	7
2	ნეონატოლოგია 1	VI	5
3	კვების ჰიგიენა	VI	3
4	ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი 2	VI	2
5	კლინიკური ფარმაკოლოგია 2	VI	3
6	პრაქტიკული უნარ-ჩვევები 2	VI	7
7	პროფესიული დაავადებები (არჩევითი)	VI	3
8	სპორტული მასაჟი (არჩევითი)	VI	3
1	მეანობა 4	VII	8
2	ნეონატოლოგია 2	VII	5
3	კლინიკური ფარმაკოლოგია 3	VII	3
4	შესავალი გინეკოლოგიაში	VII	5
5	პრაქტიკული უნარ-ჩვევები 3	VII	6
6	მასაჟის ზოგადი საფუძვლები (არჩევითი)	VII	3
7	აკუპუნქტურა, რეფლექსოთერაპია (არჩევითი)	VII	3
1	კონსოლიდაციური კლინიკური პრაქტიკა	VIII	20
2	კლინიკური უნარ-ჩვევები 2	VIII	7
3	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (არჩევითი)	VIII	3
4	ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული უსაფრთხოება (არჩევითი)	VIII	3